

შპს „საქართველოს გაერთიანებული
სამელიორაციო სისტემების კომპანია“



„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარეკვავის
წყალსაცავის, კაშხლისა და კატასტროფული წყალსაგდების
აღდგენა-რეაბილიტაცია“

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 45247000

ტექნიკური დავალება

თბილისი 2014 წელი

შინაარსი

ტერიტორიის ადგილმდებარეობა და მოკლე დახასიათება	3
კლიმატი	4
არსებული მდგომარეობა	5
კატასტროფიული წყალსაგდები	6
წყალგამყვანი გალერეა, სამომსახურეო შახტა და წყალსატარი მილი	7
შენობები და შიდა გზა	8
სამორიტორინგო სისტემა	8
მექანიკური ნაწილი	8
ელექტროკვება	9
საპროექტო - სარეაბილიტაციო ღონისძიებები	10
კატასტროფიული წყალსაგდები	11
წყალგამყვანი გალერეა, სამომსახურეო შახტა წყალსატარი მილი	15
შენობები და შიდა გზა	15
სწრაფდენი არხის გადახურვა	16
მექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის საპროექტო ღონისძიებები	17
ელექტრო მომარაგება	17
სამუშაოთა მოცულობები	22
ობიექტის დათვალიერების აუიღებელი მოთხოვნა	42

ტერიტორიის ადგილმდებარეობა და მოკლე დახასისთება

წყალსაცავის ძირითადი ნაგებობები და ტექნიკური მანვენებლები.

ნარეკვავის წყალსაცავი აშენებულია 1973 წელს დამუშავებული პროექტის მიხედვით მდინარე ნარეკვავზე, სოფელ მჭადიჯვრის ჩრდილოეთით დაახლოებით 6კმ-ში. ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის მთლიანი მოცულობა წყლის ნორმალური შეტბორვის დონის პირობებში შეადგენს 6.8 მილ.მ³, ხოლო სასარგებლო მოცულობა კი 5.6 მილ.მ³. წყალსაცავის მშენებლობის მიზანი იყო, დარეგულირდეს მდ. ნარეკვავის ჩამონადენი და უზრუნველყოს საერთო ჯამში 1600 ჰა სავარგულების მორწყვა.

წყალსაცავით დარეგულირებული მდინარის ჩამონადენი გამოიყენება მჭადიჯვრის სარწყავი სისტემის 655 ჰა ფართობის მოსარწყავად და ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის დამატებითი კვებისათვის.

წყალსაცავის ძირითადი საინჟინრო ნაგებობებია:

- მიწის კაშხალი;
- კატასტროფული წყალსაგდები თავისი მიმღები კამერით და ჩამქრობით;
- საექსპლოატაციო წყალსაშივი თავისი წყალმიმღები კოშკით და ჩამქრობით.

მიწის კაშხლის სიმაღლეა 41 მ, სიგრძე თხემზე 360 მ. კაშხლის თხემის ნიშნულია 895.60. კაშხლის ორივე ფერდის ქანობია საშუალოდ 1 : 2. კაშხლის ზედა ბიეფის ფერდი მოპირკეთებულია რკინაბეტონის ფილებით ზომით 4x2x0.15 მ.

კაშხლის ტანის წყალგაუმტარობისთვის მასში გათვალისწინებულია თიხის გული, რომლის ზედა ნიშნული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 895.60, ანუ 1 მეტრით დაბლა, ვიდრე კაშხლის თხემი. კაშხლის ორივე ფერდზე ორ-ორი ბერმაა, სიგანით 4.0 მ.

კატასტროფული წყალსაგდები განლაგებულია წყალსაცავის მარჯვენა ნაპირზე. წყალსაგდები არხის სიგრძე მიმღები კამერის ჩათვლით დაახლოებით 490 მ-ია. იგი სწორკუთხა კვეთისაა, სწრაფმდენში ზომით 6x2.2 მ. სწრაფმდენის კედლები არხის შუა ნაწილში ანაკრეფი Γ-სებრი რკინაბეტონის ბლოკებისაგანაა ნაგები, ზედა და ქვედა ნაწილებში კი მონოლითური ბეტონისგან. სწრაფმდენის ძირი მთლიანად მონოლითური რკინაბეტონისაა.

წყალსაშივი ფოლადის მილი (d=920 მმ, L=180 მ) გადის კაშხლის ქვეშ, მარცხენა ნაპირზე. კაშხლის ღერძიდან ქვედა ბიეფისკენ იგი მოთავსებულია რკინაბეტონის გალერეაში (გვირაბში).

წყალმიმღები კოშკი, რომლიდანაც ხდება წყლის მიღება წყალსაშუში, შეიცავს ორ შახტს (ნახ. 2). ერთი მათგანია ფოლადის გარცმიანი წყალმიმღები შახტი დიამეტრით 820 მმ, რომლის ზედა, ღია თავის ნიშნულია 875.80. ამის ქვემოთ ამ შახტში კიდევ 3 ნიშნულზე შედის $d=400$ მმ მილები ჩამკეტებით, რომელთა მართვა მეორე, სამომსახურეო (ე.წ. „მშრალი“) რკინაბეტონის შახტიდან უნდა მოხდეს. ამჟამად მისი გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან იგი მთლიანად წყალქვეშაა მოქცეული. სამომსახურეო შახტში შედწევა შესაძლებელიც რომ იყოს, წყალსაცავის დაცლა მასში დამონტაჟებულ ჩამკეტებით ($d=400$ მმ) შეუძლებელია, ვინაიდან წყალსაცავში შემონადენი აღემატება მათ გამტარიანობას.

გვირაბის შემდეგ წყალსაშუში მილი გადის ღია გალერეაში (კამერაში). აქ $d=900$ მმ მილს აქვს განშტოება – მასზე მიღულებულია მეორე მილი, $\phi=500$ მმ, რომლის დანიშნულებაა სანიტარული ხარჯის გატარება. განშტოების შემდეგ ორივე მილზე დამონტაჟებულია თუჯის ურდულები, სათანადოდ დიამეტრით $\phi=900$ მმ და $\phi=500$ მმ. 900 მმ-იანი მილი თავდება ჩამქრობ ჭაში, სადაც პროექტით გათვალისწინებულია კონუსური საკეტი, თუმცა საკეტის დამზადება და მონტაჟი პრაქტიკულად განხორციელებული არ ყოფილა. ჩამქრობი ჭიდან წყალი 95მ სიგრძის $\phi=1200$ მმ ფოლადის მილით მიედინება მდინარის კალაპოტში.

კლიმატი

მდინარე ნარეკვავის აუზი მდებარეობს შიდა ქართლის ბარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. გაბატონებული კლიმატური პირობების ჩამოყალიბებას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ტერიტორიის ოროგრაფიული პირობები, მნიშვნელოვანი დაცილება შავი ზღვიდან და მტკვრის ხეობით აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები.

რაიონში ყველაზე ცხელითვეება ივლისი და აგვისტო, ხოლო ყველაზე ცივი – იანვარი და დეკემბერი. რაიონში წაყინვები, ანუ საშუალო დღე-ღამური დადებითი ტემპერატურების ფონზე ჰაერის გაცივება 0°C -ზე ქვემოთ, საშუალოდ იწყება ოქტომბერში ან ნოემბერში და მთავრდება აპრილის მეორე დეკადაში.

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, სინოტივეზე, მის დაცულობაზე მცენარეული საფარით ზაფხულში და თოვლის საფარის სიმადლეზე ზამთარში, ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის რამდენიმე მმ-იანი სისქის ტემპერატურას. მისი მაჩვენებლები მჭიდრო კავშირშია ჰაერის ტემპერატურის სიდიდეებთან. ამასთან, მისი საშუალო წლიური მაჩვენებელი, საკვლევ ტერიტორიაზე, 2° -ზე მეტად აღემატება ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიურ სიდიდეს.

ატმოსფერული ნალექები, რომლებიც წარმოადგენენ რაიონის კლიმატური და ჰიდროლოგიური რეჟიმის მაფორმირებელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, საკვლევ ტერიტორიაზე არც თუ დიდი რაოდენობით მოდის. ამასთან, ნალექების წლიური მსვლელობა ხასიათდება კონტინენტური ტიპით, ერთი მაქსიმუმით მაის- ივნისში და მეორადი, უმნიშვნელო მაქსიმუმით სექტემბერ-ოქტომბერში.

თოვლის საფარი საშუალოდ ყველაზე ადრე ჩნდება 6.X-ს და ყველაზე გვიან ქრება 1.V-ს. ამასთან, თოვლის საფარის საშუალო დეკადური სიმაღლე შეადგენს 17სმ-ს, ხოლო მაქსიმალური საშუალო დეკადური სიმაღლე 61 სმ-ს შეადგენს.

რაიონში ქრის ყველა მიმართულების ქარი, მაგრამ გაბატონებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულების ქარები, რაც განპირობებულია მდინარეების ხეობების მიმართულებით.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალია 3.6 მ/წმ-ს აღწევს, ხოლო ქარის საშუალო თვიური მაქსიმალური სიჩქარე, დაფიქსირებული მარტის თვეში 4.7 მ/წმ-ს შეადგენს.

შიდა ქართლის ბარში ღრუბლიანობა საკმაოდ მაღალია. საშუალოდ, წლის განმავლობაში, ცის თაღის 50-58% დაფარულია ღრუბლებით. ღრუბლიანობა ყველაზე მეტია ზამთარში, ნაკლებია ზაფხულში. საერთო ღრუბლიანობის მიხედვით მორუბლული დღეები 100-130-ს, ხოლო მინიმალური კი 40-65 შორის იცვლება.

ელჭექი საკმაოდ ხშირი მოვლენაა – 30-45 დღე წელიწადში. ცალკეულ წლებში უფრო მეტია და 70-ს უახლოვდება. ელჭექი აქ უმთავრესად წლის თბილ პერიოდში იცის (თვეში 5-12 დღე). იშვიათად ელჭექი ზამთარშიც აღინიშნება.

ელჭექისაგან განსხვავებით, სეტყვა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში მოდის, ყველაზე ხშირია მაის-ივნისში. სეტყვიან დღეთა რიცხვი 1-2 დღეს არ აღემატება. ცალკეულ წლებში სეტყვა 6-7-ჯერ დაფიქსირდა.

არსებული მდგომარეობა

მიწის კაშხალი

მიწის კაშხლის თიხის გულა. კაშხლის თხემის ღერძზე სადაზვერვო ჭაბურღილების მეშვეობით შემოწმებულ იქნა თიხის გულის ფაქტიური ზედა ნიშნული.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თიხის გულის ზედაპირი განლაგებულია თხემიდან 2.8 მ-დან 4.0 მ-მდე, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 1.0 მეტრისა.

სხვაობა კატასტროფული წყალსაგდების სათავეის ნიშნულსა და თიხის გულის ზედაპირის ნიშნულს შორის შეადგენს -0.8 – -1.2 მ-ს. აქედან გამომდინარე, ფორსირებული ხარჯის დროს წყალსაცავში წყლის დონე 2.7 მ-ით მაღლა იქნება, ვიდრე თიხის გული, რაც კაშხლის ტანის გამორეცხვას გამოიწვევს. ნორმებით თიხის გულის ზედაპირი ფორსირებულ წყლის დონეზე მინიმუმ 0.5 მ-ით მაღლა უნდა იყოს, ფაქტიურად კი ის არის 2.7 მ-ით დაბლა.

ზედა ბიეფის ფერდი. კაშხლის ზედა ბიეფის ფერდზე რკინაბეტონის ფილების რამდენიმე რიგი ზედა საფეხურის მიმდებარედ აშლილია, დაცურებული და ზოგან აყირავებულია, რის სავარაუდო მიზეზი უნდა იყოს აქ განვითარებული უკუფილტრაციული პროცესები და კაშხლის ტანში

განვითარებული ჯდენები. კაშხლის ცენტრალურ კვეთში 20–30 სმ ჯდენები გეოდეზიური გაზომვებითაც დასტურდება. ფილების გადაადგილებები ერთმანეთის მიმართ, აღინიშნება ფერდის დანარჩენ ნაწილებშიც. ზედა ბიეფის ფერდი მარჯვენა მხარეს ფილებით მთლიანად დაფარული არაა. მოპირკეთებისთვის გამოყენებულია მართკუთხა ფილები, ზომით 2×4×0.15 ნაცვლად პროექტით გათვალისწინებულ 3×3×0.15 წაკვეთილი კუთხეებით და ფოლადის მარყუქებით. არსებული ფილები არაა ერთმანეთთან გადაბმული, როგორც ეს პირვანდელი პროექტით იყო გათვალისწინებული, ვინაიდან არა აქვთ სათანადო მარყუქები. ყურადსაღებია ისიც, რომ არსებული ფილების ზედაპირზე ფიქსირდება ბზარები და მიკრობზარები, ფერდის მნიშვნელოვან ფართზე განვითარებულია მცენარეულობა და ბუჩქები.

ქვედა ბიეფის ფერდი. კაშხლის ქვედა ბიეფის ფერდზე მოწყობილ არსებულ ბერმებზე შესასვლელი გზები დაზიანებულია, განსაკუთრებით მარჯვენა ნაპირზე, სადაც მეწყერული მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ბერმებზე მოწყობილი რკინაბეტონის წყალშემკრები ღარები გასაწმენდია შიგ ჩაყრილი გრუნტისგან და ქვებისგან. მოსაწესრიგებელია მათგან გამყვანი სადრენაჟო მილები. ბერმებზე არსებული ძველი პიეზომეტრული ჭაბურღილები ამოვსებულია (კაშხლის ტანის გეოლოგიური კვლევის პროცესში მოეწყო 8 (რვა) ახალი პიეზომეტრი).

მეწყერული ტანი ქვედა ბიეფში. სწრაფმდენი არხის პკ 1+60–პკ 2+25 მონაკვეთიდან აღმოსავლეთით, 15-25 მეტრის დაშორებით, ქვედა ბიეფის მარჯვენა ნაპირის ფერდზე წარმოქმნილია მეწყერი. იმის გათვალისწინებით, რომ მეწყერული პროცესები აქტიურია და საშიშროებას უქმნის ნაგებობის მდგრადობას, საჭიროდ იქნა მიხნეული მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება.

კატასტროფიული წყალსაგდები

მიმღები კამერა. ბეტონის გამოფიტვისა და წყლის ეროზიული ზემოქმედების გამო, მიმღები კამერის ძირზე ბეტონის ზედაპირი დაზიანებულია, ნაპრალებში ამოსულია მცენარეები. მიმღები კამერის მონოლითური ბეტონის კედლები ეროზირებულია, განსაკუთრებით წყალსაშვის სათავისთან. მიმღები კამერის ბოლოში არსებული გალერეის თავზე მოწყობილია პორტალური კედელი, ბეტონის ბლოკებით. ბლოკებს შორის ნაკერები არ არის შევსებული.

სწრაფმდენი არხი და მიდებარე ფერდობები. მიმღები კამერის ბოლოდან, შესაძლო მეწყერული მასებისგან და ქვაცვენებისგან დასაცავად, წყალსაცავის საექსპლოატაციო პერიოდში მოწყობილია დახურული გალერეა, ანაკრეფი რკინაბეტონის მართკუთხა მილის ბლოკებით (3 ძაფად). ბლოკები დაწყობილია არათანაბრად, უსწორმასწოროდ, რაც ზრდის კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტს. ამ გალერეამ თითქმის ორჯერ შეამცირა არხის განივკვეთი, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მის გამტარუნარიანობას კატასტროფული წყალდიდობის შემთხვევაში. გალერეის ბოლოები არაა შერწყმული არხის ძირთან, აქ 40 სმ-იანი საფეხურია. გალერეიდან სწრაფმდენზე გარდამავალი მონაკვეთის კედლების ზედა ნაწილი მოწყობილია ბეტონის ბლოკებით, მისი ზედაპირი გაშიშვლებულია და ერთ მონაკვეთზე (პკ 0+80–პკ 0+86 მ), მარცხენა კედლის რამდენიმე ბლოკი დაძრულია. სწრაფმდენი არხის მონაკვეთის (პკ 0+80.6-დან პკ 1+92.5-მდე) დასავლეთით მიმდებარე ციცაბო ფერდობიდან ადგილი აქვს ქვის მასების ჩამოცვენას, რითაც საშიშროება ექმნება ნაგებობის მდგრადობას და გამტარუნარიანობას. ამ უბანზე

აუცილებელი ხდება გარკვეული დამცავი ღონისძიებების გატარება.

სწრაფმდენი არხის რკინაბეტონის ძირი დაზიანებულია და ბოლო მონაკვეთზე (პკ 2+85-პკ 4+50 მ) გაჩენილია კავერნები. საჭიროა დაზიანებული და კავერნოზული მონაკვეთების მონგრევა პნევმატიკური ჩაქუჩით, ნანგრევის გატანით. ფუძეში არსებული ღრმულების და ორმოების შევსება ხრეშით, ფენა-ფენა დატკეპნით. სწრაფმდენი არხის პკ 4+20-დან პკ 4+40-მ-მდე მონაკვეთზე, გრუნტის მნიშვნელოვანი გვერდითი დაწნევის გამო, დეფორმირებულია (გადმოსრილია) არხის კედლები.

არხის მარჯვენა კედლის გარედან, ზოგიერთ მონაკვეთზე გაჩენილია ღრმულები (ჯიბები);

არხის კედლების ზედაპირი მრავალ ადგილზე გამორეცხილია.

ჩამქრობი ჭა (პკ 4+50-დან პკ 4+90 მ-მდე) შევსებულია ნატანი კენჭნაროვანი მასით. ჩამქრობი ჭის შემდეგ არ არის მოწყობილი რისბარმა, რის გამოც გადმოსული წყალი წარეცხავს მიმდებარე გრუნტს და საფრთხეს უქმნის ნაგებობის მდგრადობას.

წყალბამყვანი ბაღერეა, სამომსახურეო შახტა და წყალსატარი მილი

რკინაბეტონის გაღერეა (გვირაბი), რომელშიც გადის წყალსატარი მილი ქვედა ბიეფის მხარეს, დაახლოებით 150 მ სიგრძისაა. ზოგადად გვირაბი კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ პორტალსა და თვით გაღერეას შორის ნაკერი ეროზირებულია, ჩანს არმატურა.

გვირაბიდან გასასვლელში მილის საყრდენი ბეტონის ბალიში მოწყობილია მთელ სიგანეზე, რის გამოც გამოსასვლელთან გროვდება სამომსახურეო შახტაში გამოჟონილი წყალი. გაღერეის ზოგიერთ ნაკერში ჟონავს ფილტრატი, ჩნდება სუფოზიური გამონატანი. ლითონის მილის ზედაპირი დაჟანგულია, საჭიროებს ანტიკოროზიულ იზოლაციას.

სამომსახურეო შახტა უერთდება გვირაბს პორტალიდან 133.5 მ-ში. შახტის რკინაბეტონის კედელში ძირიდან $\approx 3.0-3.5$ მეტრში არსებული ნაპრალებიდან და მიკრო ბზარებიდან ჟონავს ფილტრატის წყალი, საერთო ჯამში $\approx 1.0-1.5$ ლ/წთ. ჭაში გამომდინარე ფილტრატი ძლიერ კალციინირებულია, რის შედეგად მის ქვეშ განლაგებული დისკური ჩამკეტი და მილის მიმდებარე მონაკვეთები ორივე მხარეს დაფარულია 1 სმ სისქის კალციტის ფენით.

ჩამკეტის კამერაში ჩაყრილია საკმაოდ დიდი ზომის ქვები, რომლებმაც დააზიანა (ჩაჭეჭა) წყალსატარის საჰაერო მილი.

წყალსატარის ღია გაღერეა (ურდულების კამერა) წარმოადგენს გვირაბის გაგრძელებას, სადაც განთავსებულია თუჯის საკეტები ძირითად 900მ მ მილზე და მის 500 მმ განშტოებაზე სანიტარული ხარჯისთვის. გაღერეის კედლების ნაწილი მონოლითური რკინაბეტონისაა, ნაწილი კი ბეტონის ბლოკებითაა აწყობილი. ბლოკებს შორის არის ღრეჭოები. ბეტონის ზედაპირი ეროზირებულია. გვირაბიდან მუდმივად მოედინება მცირე რაოდენობის წყალი, რომელიც გროვდება ურდულების კამერაში, ვინაიდან კამერის ქვედა ზღუდარი ხელს უშლის მის დაცლას. ამის გამო მილები ნაწილობრივ წყალშია მოქცეული. ზრუდარზე გადასული წყალი თვითდინებით ჩაედინება მდინარის კალაპოტში.

წყალსატარის ჩამქრობი ჭა, რომელშიც გაღერეიდან $d=900$ მმ მილი შემოდის, ექსპლუატაციის სამსახურის მიერაა მოწყობილი. მასში კონუსური

ჩამკეტი უნდა დამონტაჟებულიყო, მაგრამ მაგრამ თვით საკეტის დამზადება და მონტაჟი პრაქტიკულად განხორციელებული არ ყოფილა. ჭა ნაგებია ბეტონის ბლოკებით. ჭის ძირის ბეტონი ადგილ-ადგილ დაზიანებულია, ნაპრალებში ამოსულია მცენარეები. წყალგამყვანის ჩამქრობი ჭიდან წყალი გადის თვითდინებით $d=1200$ მმ მილით მდინარის კალაპოტში.

წყალსატარი მილი. ზოგადად, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ არა აქვს ანტიკოროზიული იზოლაცია (გარდა მცირე მონაკვეთისა გვირაბში, რაც ექსპლუატაციის სამსახურმა გააკეთა). ასევე კოროზია გარკვეულ მონაკვეთებზე გვირაბში და ღია გალერეაში წყლის შეტბორვითაა გამოწვეული

შენობები და შიდა გზა

ყოფილი სატუმბოს შენობა. ზომით გეგმაში 18×6 მ, რომელიც წყალსატარის ურდულების კამერის და ჩამქრობის გვერდითაა განლაგებული, გამოყენებული იქნება ელექტროფიცირებული ურდულების სამართავი პულტის და სამონი-ტორინგო აპარატურის დისტანციური საკომუტაციო კვანძის განსათავსებლად. შენობის მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ არა აქვს კარ-ფანჯრები. შიგნით არის დარჩენილი ტუმბოების საძირკვლები და მილგაყვანილობის ნარჩენები

საჭიროა ამ საძირკვლების მონგრევა, ოთახებად დატვიხვა, კარ-ფანჯრების ჩასმა, იატაკების მოწყობა, შიდა და გარე ელექტროგაყვანილობა.

ექსპლოატაციის სამსახურის შენობა. საჭიროებს რემონტს. გადახურვა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. გარე კედლებზე ზოგან ბათქაშია ჩამოცვენილი და საჭიროებს შელესვას. იატაკი შესაცვლელია, შიდა კედლები და ჭერი გასალესია და შესადები.

მისასვლელი გზა კაშხლის ქვედა ბიეფთან და ურდულებთან. ექსპლოატაციის სამსახურის შენობიდან დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას დაახლოებით 100 მ სიგრძის მონაკვეთზე.

სამონიტორინგო სისტემა.

კაშხლის ქვედა ბიეფის ბერმებზე არსებული ძველი პიეზომეტრული ჭაბურღილები ამოვსებულია ქვებით და მიწით. კაშხლის ზედა ბიეფის ფერდოზე დამონტაჟებულია წყლის დონის მზომი ლარტყები, რომლებზეც ნიშნულები ვერ იკითხება. არ არსებობს ლარტყებთან ჩასასვლელი კიბე (საფეხურები). სავლელ რეკოგნოსცირებით ვერ იქნა აღმოჩენილი გეოდეზიური რეპერები.

მექანიკური ნაწილი

რკინაბეტონის თაღოვან გვირაბში, ($b=h=2.5$ მ, $L=150$ მ), ბეტონის საყრდენებზე განთავსებულია წყალგამშვები ლითონის მილი – გარე დიამეტრით ϕ_g-920 მმ, გვირაბში მოწყობილ ბეტონის საცობიდან $L=20$ მ-ში დამონტაჟებულია თუნუქის დროსელური საკეტი, დიამეტრით $\phi-900$ მმ, ხელის მართვით.

საკეტის თავზე განლაგებულია სამომსახურეო-სამონტაჟო ჭა, სიმაღლით $H_w=28$ მ. ჭა გადახურულია რკ.ბეტონის ფილით, რომელშიც ჩატანებულია ჩარჩო, ლითონის სახურავისთვის. თვით სახურავი, როგორც სჩანს, მოპარულია.

ჭაში გატარებულია საჰაერო მილი d-150 მმ, საკეტის შემდეგ წყალსატარ მილში ვაკუუმის მოსასპობად. ეს მილი გრძელდება ფერდის ზედაპირზე კაშხლის თხემამდე და იქ გადაყვანილია გზის ქვეშ, ზედა ბიეფისკენ.

ჭაში, დროსელური საკეტის თავზე, დაახლოებით 3.0 მ სიმაღლეზე, აღინიშნება წყლის გამოჟონვა ბეტონის კედლიდან, ხარჯით - $\approx 1.5-2.0$ ლ/წმ. ეს წყალი ჩამოედინება გვირაბში, ესხმის საკეტს და ტბორავს გვირაბის ფსკერს გვირაბის გამოსავლელთან. იქ მოწყობილი ზღუდარის გამო წყლის სიღრმე $\Delta \approx 0.8$ მ-ს შეადგენს, რაც ზღუდავს გვირაბში შესვლას. გამონაჟონი წყალი ძლიერ კალცინირებულია, რის გამოც შახტის ქვეშ, მილზე და დროსელურ საკეტზე, წარმოქმნილია დაახლოებით 10 მმ სისქის კალციტის მკვრივი ნალექი.

უნდა აღინიშნოს, რომ შახტის დათვალიერებისას წყლის დონე წყალსაცავში ≈ 10 მეტრით დაბალი იყო ნორმალურ შეტბორვის დონესთან შედარებით. არ არის გამორიცხული, რომ წყალსაცავის შევსებისას შახტში გამონაჟონი სხვა ადგილებშიც გამოჩნდეს.

გვირაბის შემდეგ მილი გადის ღია გალერეაში (კამერაში), ბეტონის საყრდენებზე. გალერეის ქვედა ნაწილი დაფარულია წყლით, ვინაიდან მის ბოლოში ტორეცის კედელი და მის შემდეგ გრუნტის რელიეფი ზღუდავს გალერეის წყლისგან დაცვას.

ღია გალერეაში $\phi-900$ მმ მილს აქვს განშტოება – მასზე მიდუღებულია მეორე მილი, $\phi-500$ მმ, რომლის დანიშნულებაცაა სანიტარული ხარჯის გატარება. განშტოების შემდეგ ორივე მილზე დამონტაჟებულია თუჯის ურდულები, შემდეგი დიამეტრებით: $\phi-900$ მმ და $\phi-500$ მმ. ურდულები არაა ელექტროფიცირებული და ორივე ურდულის მართვა ხდება ხელით. ასევე, ურდულები არაა დაყრდნობილი ბეტონის საყრდენებზე.

900 მმ-იანი მილი თავდება ჩამქრობ ჭაში. ჭის დიამეტრია $d=3.5-4.0$ მ, სიღრმე 3.86 მ.

ჩამქრობ ჭაში 1973 წლის პროექტით უნდა განხორციელებულიყო კონუსური სარეგულაციო საკეტის დამონტაჟება, რისთვისაც ჭაში დამონტაჟებულია საყრდენი ლითონკონსტრუქციები, მაგრამ თვით საკეტის დამზადება და მონტაჟი პრაქტიკულად განხორციელებული არ ყოფილა.

ჩამქრობი ჭიდან წყალი 95 მ სიგრძის $\phi-1200$ მმ ფოლადის მილით მიედინება მდინარის კალაპოტში.

ელექტროკვება

წყალსაცავის ტერიტორიაზე შემორჩენილია ელ.გადამცემი ხაზის ბოძები, მაღალი ძაბვის ხაზიდან კაშხლამდე და განათების ბოძები, კაშხლის თხემზე, კატასტროფული წყალსაგდების გასწვრივ და კაშხლიდან საექსპლოატაციო შენობამდე, მაგრამ ჩამოსხნილია ყველა სადენი და სადენის სამაგრი არმატურა. ასევე, მოხსნილი და წაღებულია ძაბვის დამწვევი ტრანსფორმატორი. ურდულები არაა ელექტროფიცირებული.

საპროექტო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები

მიწის კაშხალი

მიწის კაშხლის თიხის გულა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თიხის გულის ზედაპირი განლაგებულია თხემიდან 2.8-დან 4.0მ-მდე, ნაცვლად პირვანდელი პროექტით გათვალისწინებული 1.0 მეტრისა.

კაშხლის გულის საპროექტო ნიშნულის აღსადგენად ხდება კაშხლის თხემის მოხსნა 892.7 მ. ნიშნულამდე, რომლის შემდეგ გათვალისწინებულია კაშხლის გულის ამადლება საპროექტო ნიშნულამდე – 896.1 მ. კაშხლის გულის ამადლების შემდეგ ხდება კაშხლის ტანის აღდგენა შრეობრივი დატკეპნით. კაშხლის ტანის მშენებლობისას ასევე შენდება რკინაბეტონის პარაპეტი, რომლის სიგრძე შეადგენს 325.0 მ-ს, ხოლო სიმაღლე 2.4 მ-ს.

ზედა ბიეფის ფერდი ამჟამად გამაგრებულია რკინაბეტონის ფილებით, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული. აღნიშნულის გამო, ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში არსებული ფილები ერთმანეთის მიმართ წაცურებულ და ამოხურცულ მდგომარეობაში არიან. ასევე აღსანიშნავია, რომ ფერდზე არსებული ფილები სხვადასხვა ზომისაა. არსებული ფილების მნიშვნელოვანი ნაწილს გააჩნია ბზარები და მიკრობზარები. ფერდის ზედაპირი ამჟამად დაფარულია, განვითარებული ფესვთა სისტემის მქონე, ბუჩქებითა და ხეებით.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია არსებული ფილების სრული დემონტაჟი და ფერდის გამაგრება ახალი რკინაბეტონის ფილებით.

არსებული ფილების დემონტაჟის შემდეგ ხდება ფერდის ზედაპირზე არსებული ლამიანი ხრეშისა და გრუნტის მოხსნა. შემდგომ ეტაპზე, ფერდის მოშანდაკებულ ზედაპირზე ეწყობა უკუფილტრი.

საპროექტო რკინაბეტონის ფილების დამზადება გათვალისწინებულია ადგილზე - სამშენებლო უბანზე, ლითონის ყალიბებში. რკინაბეტონის ფილების ზომებია 3.0×2.5×0.2 მ. რკინაბეტონის ფილებში, ოთხივე მხარეს, გათვალისწინებულია არმატურის შევრილების დატოვება, რომელთა მეშვეობით ხდება ფილების ერთმანეთთან დაკავშირება. ფილების ერთმანეთთან დაკავშირება ხორციელდება შედუღების საშუალებით. ფილების გადაბმის ბუდეების ბეტონით შევსებამდე ხდება დამაკავშირებელი არმატურის ღეროების დაფარვა ბითუმის მასტიკით. საპროექტო რკინაბეტონის ფილები სიგრძეში და სიმაღლეში დაყოფილია ე.წ.

„კარტებად“ სადეფორმაციო ნაკერების საშუალებით. სადეფორმაციო ნაკერები ეწყობა ფილებს შორის 2.0 სმ. სისქის და 20 სმ. სიგანის ანტისეპტირებული ფიცრების ჩალაგებით. სადეფორმაციო ნაკერებს შორის მანძილი კაშხლის გრძივი მიმართულებით შეადგენს 40.0 მ-ს, ხოლო განივი მიმართულებით 21.0 მ-ს.

ქვედა ბიეფის ფერდი. ქვედა ბიეფის მხრიდან კაშხლის ფერდზე გათვალისწინებულია, გარკვეულ უბნებზე ამოსული ხე-ბუჩქების გაჩეხვა და ამოძირკვა, ასევე, ფერდზე, თაროების გასწვრივ გამავალი ბეტონის წყალგამტარი ღარების ამოსუფთავება-გაწმენდა

პროექტით გათვალისწინებულია ასევე, ქვედა ბიეფის ფერდისა და მასთან მიმდებარე ფერდების გადაკვეთაზე, არსებული ამორტიზირებული აზბესტის მილების გამოცვლა პლასტმასის სადრენაჟო მილებით. აღნიშნული

სადრენაჟო მიღებიდან წყლის გაყვანის მიზნით, გათვალისწინებულია წყალგამტარი რკინაბეტონის არხისა და გრუნტის ღია არხის მოწყობა, საიდანაც წყალი ჩაედინება არსებულ გრუნტის არხში

მეწყრული ტანი ქვედა ბიეფში. პროექტით გათვალისწინებულია მეწყრული პროცესების გამო დეფორმირებული ფერდის აღდგენა. ამ მიზნით ხდება ფერდზე გრუნტის შემოყრა და პლანირება, ასევე ფერდის ტანზე თაროების მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამდე ხდება ფერდზე ამოსული ბუჩქნარებისა და ეკალ-ბარდების გაჩეხვა და ფერდის ტერასირება.

პროექტით გათვალისწინებულია, მეწყრულ ფერდზე მოსაწყობი თაროების შეუღლება კაშხლის ქვედა ბიეფის ფერდზე არსებულ თაროებთან. მეწყრული ფერდის თავზე გათვალისწინებულია, 280.0 მ. სიგრძის, სამთო არხის მოწყობა. არხის კონსტრუქცია მიღებულია გაბიონის ღეიბებისაგან, რომლის ქვეშ გათვალისწინებულია გეოტექსტილის დაგება. სამთო არხიდან წყალი ჩაედინება არსებულ გრუნტის არხში. მეწყრული ფერდის ძირში, პროექტით გათვალისწინებულია 21.0 მ. სიგრძის საყრდენი კედლის მოწყობა, რომლის კონსტრუქცია მიღებულია კოლოფისებური გაბიონებისაგან

კატასტროფიული წყალსაბღები

მიმღები კამერა. მიმღები კამერის მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებები:

- დაზიანებული ბეტონის ფილის მონგრევა და ახალი რკინაბეტონის ფილის მოწყობა. ფილა ეწყობა B22.5 კლასის მონოლითური ბეტონისაგან. ბეტონის მარკა წყალგაუმტარობაზე – W6, ხოლო ყინვამდგრადობაზე F200. საპროექტო ფილა არმირდება ბადით, რომელიც იკვრება მავთულებით AIII კლასის არმატურის ღეროებისაგან. რკინაბეტონის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია ხრეშის მოსამზადებელი ფენის მოწყობა.
- კამერის კედლების ზედაპირების დაფარვა ტორკრეტ-ბეტონით. კედლების ზედაპირების ტორკრეტირებამდე ხდება. მათი გაწმენდა წყლის ჭავლით. შემდეგ ხდება კედლების ტანში არსებული ღრმულებისა და ღრეჩოების ამოვსება მონოლითური ბეტონით, მანჭვალების მოწყობა და არმატურის ბადეების მონტაჟი. ტორკრეტირება წარმოებს ორ ეტაპად. I ეტაპზე ეწყობა 3სმ, სისქის ტორკრეტ-ბეტონი. ქვედა ფენის სათანადო გამაგრების შემდეგ, II ეტაპზე, ეწყობა ტორკრეტ-ბეტონის მეორე-ზედა ფენა 4სმ. სისქით. ზედა ფენის ბეტონი უნდა დამზადდეს წვრილმარცვლოვანი შემავსებლის გამოყენებით.

სწრაფმდენი არხი და მიმღებარე ფერდობები. სწრაფმდენი არხი სიგრძეში განიხილება ხუთ მონაკვეთად:

1. გალერეა $3კ0+39.3 \div 3კ0+80.6$;
2. სწრაფმდენი $3კ0+80.6 \div 3კ1+92.5$;
3. გალერეა $3კ1+92.5 \div 3კ2+66.5$;
4. სწრაფმდენი $3კ2+66.5 \div 3კ4+27.1$;

5. პკ 4+27.1÷პკ4+92.8.

I. გალერეა პკ0+39.3÷პკ0+80.6 როგორც სათანადო ანგარიშებით (იხ. ზემოთ) დადასტურდა, კატასტროფულ წყალდიდობის შემთხვევაში სწრაფდენის მიმღები გალერეის მიერ შევიწროებული კვეთი იწვევს წყალსაშვის შეტბორვას, რაც გამოიწვევს პრაქტიკულად მის ფუნქციონირების შეწყვეტას. ამიტომ, პროექტით გათვალისწინებულია არსებული გალერეის, ხვრეტით 3×2.5×2.0მ, ნაწილობრივი დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი გალერეის მშენებლობა ხვრეტით 1×7.75×4.1, რაც თითქმის ორჯერ ზრდის ხვრეტის განივკვეთს.

საპროექტო გალერეის კონსტრუქცია ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის-აგან. გალერეის მშენებლობისას ქვაბულების დამუშავება უნდა განხორციელდეს ეტაპებად. თოთეულ ეტაპზე უნდა გამაგრდეს 10.0-მდე სიგრძის მონაკვეთი. არსებული კონსტრუქციის ნაწილობრივი მონგრევა უნდა მოხდეს ექვს-ექვსი მეტრი სიგრძის მონაკვეთებად. ამასთან, თითოეული მონაკვეთის მონგრევის შემდეგ, გადაუდებლად უნდა განხორციელდეს პროექტით გათვალისწინებული კონსტრუქციის მშენებლობა.

გალერეის მშენებლობისას, საპროექტო კედლების ქვედა ნაწილი უკავშირდება არსებული გალერეის კედლებს საანკერო არმატურის მოწყობის საშუალებით. ანკერების მოწყობის მიზნით, არსებული გალერეის კედლებში და ფსკერის ფილაში იბურდება Ø 40 მმ. დიამეტრის ხვრეტები. შემდგომში მათში იჭირხენება ცემენტის ხსნარი და მონტაჟდება არმატურის ანკერები.

გალერეის ფსკერში გათვალისწინებულია რკინაბეტონის ფილის მოწყობა, რომლის არმატურის ღეროები უნდა მიედლოს არსებული გალერეის ქვედა ფილის არმატურის ღეროებს. გალერეის კედლების დაბეტონებამდე აუცილებელია არსებული გალერეის საკონტაქტო ზედაპირების გაწმენდა წყლის ჭავლით.

გალერეის ფილის თავზე გათვალისწინებულია მონოლითური ბეტონის წყალმომცილებელი სამკუთხედის მოწყობა, ზედაპირის მოჭიმვით, რომელზედაც ხდება ასაკრავი ჰიდროიზოლაციის მოწყობა. გალერეის სათავისებში გათვალისწინებულია პორტალური კედლების მოწყობა ანაკრებ-მონოლითური ბეტონისაგან. გალერეის თავზე გათვალისწინებულია რბილი გრუნტის შემოყრა (იხ. ნახ. GC-1354-გ-1÷6).

II მონაკვეთზე-პკ0+80.6-დან პკ1+92.5-მდე პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- არხის ძირზე დაზიანებული ბეტონის ფილის მონგრევა და ახალი რკინაბეტონის ფილის მოწყობა. ფილა ეწყობა B22.5 კლასის მონოლითური ბეტონისაგან. ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობაზე –W6, ხოლო ყინვამედეგობაზე F200. საპროექტო ფილა არმირდება ბადით, რომელიც იკვრება მავთულებით, III კლასის არმატურის ღეროებისაგან. რკინაბეტონის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია ხრემის მოსამზადებელი ფენის მოწყობა. ფილის ქვეშ ასევე გათვალისწინებულია სადრენაჟო არხის მოწყობა, რომლის ფსკერშიც დაფენილია გეოტექსტილი. არხის იმ უბნებზე სადაც კედლები შესრულებულია ანაკრები ბლოკებით, დაზიანებული

- ფილის მონგრევამდე, უნდა მოხდეს ბლოკების მდგომარეობის დაფიქსირება ინვენტარული კონსტრუქციების საშუალებით;
- არხის კედლების ზედაპირების დაფარვა ტორკრეტ-ბეტონით. ტორკრეტირების დაწყებამდე ხდება კედლების ზედაპირების გაწმენდა წყლის ჭავლით. შემდეგ ხდება კედლების ტანში არსებული ღრმულებისა და ღრეხობების შევსება მონოლითური ბეტონით. შემდგომ ეტაპზე ხორციელდება მანჭვალებისა და არმატურის ბადეების მონტაჟი. ტორკრეტირება წარმოებს ორ ეტაპად. I ეტაპზე ეწყობა 3სმ, სისქის ტორკრეტ-ბეტონი. ქვედა ფენის სათანადო გაშრობის შემდეგ, II ეტაპზე, ეწყობა ტორკრეტ-ბეტონის მეორე-ზედა ფენა 4სმ. სისქით. ზედა ფენის ბეტონი უნდა დამზადდეს წერილმარცვლოვანი შემავსებლის გამოყენებით.
 - არხის მარცხენა კედელი პკ1+65.5-დან პკ1+92.5-მდე აშენებულია რკინაბეტონის ანაკრები ბლოკებისაგან, რომელთა ზედაპირები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ამიტომ აღნიშნულ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებულია, მხოლოდ ბლოკებს შორის პირაპირების გაწმენდა და შევსება მონოლითური ბეტონით (იხ. ნახ. GC-1354-ა-1-1÷7).

III. გალერეა პკ1+92.5÷პკ2+66.5. პროექტით გათვალისწინებულია არსებული 3×2.0×2.0 ხერხის გალერეის რეაბილიტაცია. არსებული გალერეა აშენებულია მართკუთხა კვეთის რკინაბეტონის ბლოკებისაგან. აღნიშნული ბლოკები, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ სიბრტყეში განლაგებული არიან საფეხურებად. მათი სამონტაჟო პირაპირების სიგანე (~10სმ.) მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ სიდიდეს. არსებული გალერეის რეაბილიტაცია ითვალისწინებს გალერეის ხერხებში შემასწორებელი რკინაბეტონის პერანგების მოწყობას, გალერეის თავზე ასევე შემასწორებელი ბეტონის ფენის და ასაკრავი ჰიდროიზოლაციის მოწყობას. ასევე გათვალისწინებულია გალერეის სათავისებში არსებული პორტალური კედლების ზედაპირებზე ტორკრეტ-ბეტონის მოწყობა. ამასთან, პორტალური კედლების ზედაპირების ტორკრეტირებამდე უნდა მოხდეს მათ ტანში არსებული ღრმულების ამოვსება მონოლითური ბეტონით

IV მონაკვეთი – პკ2+66.5-დან პკ4+27.1-მდე. მონაკვეთის დასაწყისში, არხის მარჯვენა მხარეს, პკ2+66.5-დან პკ2+74.0-მდე კედელი შესრულებულია მონოლითური ბეტონისაგან, ხოლო დანარჩენი უბნებზე გამოყენებულია რკინაბეტონის ანაკრები ბლოკები.

აღნიშნულ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებულია არხის დაზიანებული ფსკერის მონგრევა და ახალი რკინაბეტონის ფილის მოწყობა.

ფილა ეწყობა B22.5 კლასის მონოლითური ბეტონისაგან. ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობაზე – W6, ხოლო ყინვამდებობაზე - F200. საპროექტო ფილა არმირდება ბადით, რომელიც იკვრება მავთულებით III კლასის არმატურის ღეროებისაგან. რკინაბეტონის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია ხრეშის მოსამზადებელი ფენის მოწყობა. ფილის ქვეშ ასევე გათვალისწინებულია სადრენაჟო არხის მოწყობა, რომლის ფსკერშიც დაფენილია გეოტექსტილი.

არხის იმ უბნებზე სადაც კედლები შესრულებულია ანაკრები ბლოკებით, დაზიანებული ფილის მონგრევამდე, უნდა მოხდეს ბლოკების მდგომარეობის დაფიქსირება ინვენტარული კონსტრუქციების საშუალებით.

არხის, მონოლითურ ბეტონისაგან შესრულებული კედლის ზედაპირები იფარება ტორკრეტ-ბეტონით. ტორკრეტირების დაწყებამდე ხდება კედლების ზედაპირების გაწმენდა წყლის ჭავლით. შემდეგ ხდება კედლების ტანში არსებული ღრმულებისა და ღრეჩოების შევსება მონოლითური ბეტონით. შემდგომ ეტაპზე ხორციელდება მანჭვალეებისა და არმატურის ბადეების მონტაჟი. ტორკრეტირება წარმოებს ორ ეტაპად. I ეტაპზე ეწყობა 3სმ, სისქის ტორკრეტ-ბეტონი. ქვედა ფენის სათანადო გამაგრების შემდეგ, II ეტაპზე ეწყობა ტორკრეტ-ბეტონის მეორე - ზედა ფენა 4სმ სისქით. ზედა ფენის ბეტონი უნდა დამზადდეს წვრილმარცვლოვანი შემავსებლის გამოყენებით.

არხის ანაკრები ბლოკებისაგან შესრულებული კედლების ზედაპირები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ამიტომ აღნიშნულ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებულია, მხოლოდ ბლოკებს შორის პირაპირების გაწმენდა და შევსება მონოლითური ბეტონით.

აღნიშნულ მონაკვეთზე, არხის მარცხენა და მარჯვენა კედელი, პკ3+86-დან პკ4+27.1-მდე დეფორმირებულია. კერძოდ აღინიშნება ანაკრები რკინაბეტონის ბლოკების გადახრა არხის ღერძისკენ. აღნიშნული დეფორმაციების შემდგომი განვითარების აღკვეთის მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია კედლების თავზე რკინაბეტონის განბჯენი ჩარჩოს მოწყობა. ჩარჩოს მოწყობის მიზნით ხდება არსებული კედლის ბლოკების თავების მონგრევა და მათი არმატურების გაშიშვლება, რომლებზეც გათვალისწინებულია საპროექტო კონსტრუქციის არმატურის ღეროების დაკაფშირება შედუღების საშუალებით. განბჯენი ჩარჩოს დაბეტონება ხდება B22.5, W6, F200 მახასიათებლების ბეტონით.

V. მონაკვეთი პკ4+27.1-დან პკ4+92.8-მდე. აღნიშნულ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებულია არხის დაზიანებული ფსკერის მონგრევა და ახალი რკინაბეტონის ფილის მოწყობა. ფილა ეწყობა B22.5 კლასის მონოლითური ბეტონისგან. ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობაზე-W6, ხოლო ყინვამედეგობაზე 200. საპროექტო ფილა არმირდება ბადით, რომელიც იკრება მავთულებით, AIII კლასის არმატურის ღეროებისაგან. რკინაბეტონის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია ხრეშის მოსამზადებელი ფენის მოწყობა. ფილის ქვეშ ასევე გათვალისწინებულია სადრენაჟო არხის მოწყობა, რომლის ფსკერშიც დაფენილია გეოტექსტილი. პკ4+40.4-ზე გათვალისწინებულია რკინაბეტონის ფილის ქვეშ გამავალი სადრენაჟო არხის ჩამკეტი კედლის მოწყობა, საიდანაც პლასტმასის გოფირებული მილების საშუალებით, ხორციელდება დრენირებული წყლების გამოყვანა სწრაფმდენის გარეთ.

არხის მონოლითური ბეტონის კედლების ზედაპირების დაფარვა ტორკრეტ-ბეტონით ხორციელდება წინა მონაკვეთებისათვის აღწერილი მეთოდით.

პკ4+27.1-დან პკ4+40.4-მდე არხის მარჯვენა მხარეს, გათვალისწინებულია არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის მონგრევა და მის ნაცვლად ახალი მონოლითური ბეტონის, გრავიტაციული საყრდენი კედლის მშენებლობა.

პროექტით გათვალისწინებულია ჩამქრობი ჭის გაწმენდა, მასში დაგროვილი, ნატანისაგან. ასევე გათვალისწინებულია ჩამქრობი ჭის ბეტონის კედლების გარე ზედაპირების შეღესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით და რისბერმის მოწყობა გაბიონებით კალაპოტის ძირის და ნაპირების ეროზიისგან დასაცავად. ამავე მიზნით ჩამქრობი ჭის გვედითა კედლების

გასწვრივ გათვალისწინებულია ქვის ყრილის მოწყობა (იხ. ნახ. GC-1354-კვ-ჩ-1÷6; კვ-კედ-1÷3).

წყალგამყვანი ბაღერეა, სამომსახურეო შახტა და წყალსატარი მილი

რკინბეტონის გაღერეა (გვირაბი) და სათავისი (პორტალი). პორტალსა და თვით გაღერეას შორის ეროზირებულ ნაკერზე და გაშიშვლებულ არმატურზე გათვალისწინებულია მათი გაწმენდა და ტორკრეტის ფენის მოწყობა არმატურის ბაღეზე.

გვირაბიდან გასასვლელში მილის საყრდენი ბეტონის ზღუდარა ჩაიჭრება გაღერეის იატაკამდე, რათა მიეცეს გასავალი შახტაში გამოყოფილ წყალს.

სამომსახურეო შახტა. შახტაში წყლის გამოყოფის შესაჩერებლად გათვალისწინებულია; შიდა ზედაპირზე არსებულ ბზარებზე და ნაპრალებზე ღარების ამოიჭრა და მათი ამოვსება ჰიდროსაიზოლაციო საგოზით. შახტის გარე მხრიდან წყლის გადასაკეტად კედელში უნდა გაიხვრიტოს ხვრელები და მათში დაიჭირხნოს ცემენტის ხსნარი.

წყალსატარის ღია გაღერეაში (ურდულების კამერა). გათვალისწინებულია კედლების გაწმენდა და ტორკრეტირება. აგრეთვე კამერის ქვედა მხარის ბეტონის ზღუდარაში გათვალისწინებულია მისი ჩაჭრა 1.0მ სიღრმეზე, რათა მიეცეს გასასვლელი გაღერეაში დამდგარ წყალს. ამისთვის ზრუდარის შემდეგ უნდა გაითხაროს ტრანშეა (30მ) და დაღრმავდეს არსებული კალაპოტი 50მ-ს სიღრმეზე.

წყალსატარის ჩამქრობი ჭა. ჩამქრობ ჭაში კონუსური ჩამკეტის ნაცვლად ეწყობა დუშის ტიპის ჩამქრობი 4 დიფუზორით, რომლის მართვა მოხდება 3 დამატებითი ურდულით (იხილეთ ქვემოთ მექანიკური ნაწილი, თავი 10.6). ამ ურდულების განსათავსებლად გათვალისწინებულია არსებულ ჩამქრობ ჭაზე მიშენდეს მარეგულირებელი ურდულების კამერა შიდა ზომებით 2.8×9.0მ, სიღრმით 2.6მ. არსებული ჩამქრობი ჭის, რომელიც 1.0მეტრიანი ბეტონის ბლოკებითაა ნაგები, შიდა კედლები გაიწმინდება და დაიფარება ტორკრეტის ფენითარმატურის ბაღეზე, გარე კედლები კი გაილესება ქვიშაცემენტის ხსნარით.

წყალსატარი მილი. წყალსატარი მილი მთელ სიღრმეზე უნდა დაიფაროს ანტიკოროზოული იზოლაციით, რისთვისაც დაჟანგული ზედაპირი წინასწარ უნდა გაიწმინდოს ფოლადის ჯაგრისებით. მილის დაფარვა ანტიკოროზოული იზოლაციით უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც გვირაბის და ღია გაღერეის ზღუდარები ჩაიჭრება და ისინი დაიცლება შეგუბებულ წყლისგან, რის შედეგად მილის ზედაპირი მთლიანად ჰაერში აღმოჩნდება

შენობები და შიდა გზა

ყოფილი სატუმბოს შენობა. გათვალისწინებულია გამოყენებულ იქნას სამონიტორინგო სამსახურის აპარატურისთვის და, ასევე, მექანიკური მოწყობილობების და ელექტროსისტემის სამართავად. ამ მიზნით, მასში გათვალისწინებულია ძველი მილსადენების დემონტაჟი, ბეტონის იატაკის მოწყობა, 3 ოთახად და კორიდორად გატისვრა სატიხრე ბლოკებით. არსებული დიდი ღიობი სამხრეთი მხრიდან ამოშენდება და შიგ მოეწყობა შესასვლელი რკინის კარები. ჩრდილოეთის მხრიდან, საწყობისთვის მოეწყობა

რკინის ჭიშკარი. შენობაში მოეწეობა კარ-ფანჯარა, ლამინატის იატაკი, აგრეთვე მოპირკეთდება კედლები და მოეწეობა ელ. გაყვანილობა. სახურავზე მოეწეობა ჰიდროიზოლაცია.

ექსპლოატაციის სამსახურის შენობაში. გათვალისწინებულია დაზიანებული და დამპალი ხის იატაკის დემონტაჟი, ახალი იატაკის მოწეობა ლამინატით, მეტალოპლასტმასის ფანჯრების და რკინის შესასვლელი კარების ჩაყენება, ელექტროგაყვანილობის აღდგენა და შიდა და გარე მოპირკეთების მოწეობა (იხ. ნახ. GC-1354-შ-1÷2).

მისასვლელი გზა კაშხლის ქვედა ბიეფთან და ურდულებთან. აქ გათვალისწინებულია გზის დაზიანებული მონაკვეთის მოჭრა, და ახალი ხრეშის საფარის მოწეობა დატეპნით. ასევე გათვალისწინებულია არსებული მილხიდის ბეტონის სათავისების მოწეობა და მიმდებარე მონაკვეთების დაცვა გაბიონებით. ასევე, სათავისები და გაბიონის რისბერმები მოეწეობა დამცველი $d=1200$ მმ და სანიტარული ხარჯის $d=500$ მილების დაბოლოებებზე.

სწრაფმდენი არხის გადახურვა

სწრაფმდენი არხის მიმდებარე ფერდობების გარკვეულ მონაკვეთებზე შეინიშნება ჩამოსაცვენად მომზადებული გრუნტის მასები და გაშიშვლებული ლოდები. აღნიშნული გარემოების გამო მოსალოდნელია ჩამონაცვენი გრუნტისა და ქვის ლოდების მოხვედრა არხის კალაპოტში. პრობლემის გადაწყვეტის მიზნით კკ 1+05 დან კკ1+88.16 მდე პროექტით გათვალისწინებულია სწრაფმდენი არხის გადახურვა.

სწრაფმდენი არხის გადახურვის კონსტრუქცია სივრძეში ეწყობა სექციებად, რომელთა შორის გათვალისწინებულია 3 სმ. სისქის სადეფორმაციო ნაკერები. გადახურვის კონსტრუქციის საერთო სივრძე შეადგენს 83.16 მ-ს.

სწრაფმდენი არხის გადახურვა ხორციელდება 9.2 მ. სივრძის რკინაბეტონის T“-ს მაგვარი კოჭებით. აღნიშნული კოჭების დამზადება გათვალისწინებულია სამშენებლო უბანზე. კოჭების საპროექტო მდგომარეობაში მონტაჟის შემდეგ ხდება მათი ერთმანეთთან დაკავშირება მონოლითური რკინაბეტონით, რისთვისაც კოჭების ფილებში გათვალისწინებულია არმატურის ღეროების გამონაშვერები. შუალედ კოჭებში გამონაშვერები ეწყობა ორივე მხარეს, ხოლო განაპირა კოჭებში ცალი მხრიდან.

სწრაფმდენი არხის გადახურვის კონსტრუქციის ბურჯები მიღებულია ხიმინჯოვანი როსტვერკების სახით. როსტვერკების თავზე, გათვალისწინებულია საყრდენი ფილებისა და საკარადე კედლების მოწეობა. საყრდენ ფილებზე კოჭების დადგმის ადგილებში გათვალისწინებულია რუბეროიდის ფენის დაგება. ხიმინჯების კონსტრუქცია მიღებულია ნაბურღ-ნატენი ტიპის, დიამეტრით 600 მმ.

გადახურვის კონსტრუქციის თავზე, პროექტით გათვალისწინებულია, ასაკრავი ჰიდროიზოლაციის მოწეობა და რბილი გრუნტის დაყრა.

მექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის საპროექტო ღონისძიებები

1. შახტში წყლის გამოუნვის შესაჩერებლად გათვალისწინებულია; შიდა ზედაპირზე არსებულ ბზარებზე და ნაპრალეებზე ღარების ამოჭრა და მათი ამოვსება ჰიდროსაიზოლაციო საგოზით. შახტის გარე მხრიდან წყლის გადასაკეტად კედელში უნდა გაიხვრიტოს ხვრელები და მათში დაიჭირხნოს ცემენტის ხსნარი.
2. არსებული დროსელური ჩამკეტის ხელის მექანიზმი შეიცვალოს ელექტრომექანიზმით $N=4.5$ კვტ;
3. გვირაბში მოეწყოს ელექტროგანათება;
4. გვირაბში და ღია გაღერვაში დაგროვილ წყალს უნდა მიეცეს დაცლის საშუალება, რისთვისაც უნდა მოინგრეს ბეტონის ზღუდარების ნაწილი, გაითხაროს მცირე არხი ($L=50$ მ) არსებულ კალაპოტამდე და დარღმავდეს და გაგანიერდეს კალაპოტი არსებულ მილხიდამდე (80 მ);
5. არსებული ურდულების შეცვლა ახლებით;
6. ურდულების ხელის მექანიზმების შეცვლა მექანიზმებზე ელექტრომართვით $d=500$; $N=2.8$ კვტ; $d=900$ - 5.5 კვტ;
7. ურდულების ქვეშ მოეწყოს ბეტონის ფუნდამენტები;
8. ურდულების თავზე მოეწყოს მსუბუქი ფარდულები, ნალექებისგან დასაცავად;

ჩამქრობ ჭაში, კონუსური ჩამკეტის ნაცვლად, $\phi-920$ მილიდან მილის (ორი $\phi-400$ და ერთი $\phi-500$) შეყვანა თავისი ჩამკეტებით, ქვემოთ მოცემული სქემის თანახმად. ასეთი სქემა საშუალებას მოგვცემს ხარჯის რეგულირებას ფართო დიაპაზონში. ასეთი სქემის მიღება იმითაა ნაკარნახები, რომ ორიგინალური უცხოური კონუსური საკეტის ფასი დაახლოებით 400000 ევროა, ხოლო თვითნაკეთი (შედულებით) საკეტები კი, როგორც მათი ექსპლუატაციის გამოცდილებამ ცხადყო, არრასაიმედოა და სწრაფად გამოდის წყობიდან. მიღების ბოლოებში გათვალისწინებულია დუშის პრინციპზე მომქმედი ჩამქრობები. ყველა ურდული იქნება ელექტრომართვით. საკეტების მართვის პულტი განლაგდება ჩამქრობი ჭის გვერდით არსებულ (ყოფილი სატუმბოს) შენობაში.

ელექტრომომარაგება

ნარეკავის წყალსაცავის ელექტრომომარაგება ხორციელდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გამანაწილებელი ქსელიდან, $L=480$ მ სიგრძის, 10(6) კვ ძაბვის საჰაერო ხაზის საშუალებით. მოთხოვნილი სიმძლავრე განპირობებულია შემდეგი დატვირთვებით:

წყალსატარის მარეგულირებელი საკეტების ელექტროამბრავები, კვრძოდ:

დისკური დროსელი საკეტი – სიმძლავრე $4.5 \text{ კვტ} / 0.8 = 5.63 \text{ კვა}$

ჩამკეტი $D=800$ მ - სიმძლავრე $7.5\text{კვტ}/0.8=9.4\text{კვა}$

ჩამკეტი $D=500$ მ - სიმძლავრე $2.8\text{კვტ}/0.8=3.5\text{კვა}$

მარეგულირებელი ურდულები ჩამქრობ ჭაში:

1. ურდული – 2 ცალი $D=400$ მ - სიმძლავრე $2\times 2.2\text{კვტ}/0.8=5.5\text{კვა}$

2. ურდული – $D=500$ მ - სიმძლავრე $2.8\text{კვტ}/0.8=35.5\text{კვა}$

ექსპლუატაციის სახლის ელექტრომომარაგება – $5.0\text{კვტ}/0.9=5.6\text{კვა}$

მონიტორინგის შენობის ელექტრომომარაგება – $9.0\text{კვტ}/0.9=10.0\text{კვა}$

ურდულების და ჩამქრობი ჭის გარე განათება – 0.1კვა

კაშხლის კესზე გარე განათება (ზედა გამავალი გზის) – $1.4\text{კვტ}/0.9=1.6\text{კვა}$

კატასტროფული წყალსაგდების ტრასის გარე განათება – $1.5\text{კვტ}/0.9=1.7\text{კვა}$

გვირაბის განათება - $1.0\text{კვტ}/0.9=1.1\text{კვა}$

რადგან ურდულების და საკეტების მუშაობა უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამორიცხული უნდა იყოს მათი ერთდროული მუშაობა, ამიტომ ჯამური ერთდროული მაქსიმალური დატვირთვა განპირობებულია ყველაზე მძლავრი ძრავის (ჩამკეტი $D=800$ მმ) სიმძლავრით, გარე განათების და შენობების დატვირთვით, რაც შეადგენს 29.5კვა-ს .

დამწვევი ქვესადგური წარმოდგენილია, საყრდენზე ჩამოკიდებული კონსტრუქციის, $S=40$ კვა სიძლავრის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის (კსქ) სახით. ქვესადგური აღჭურვილია ორი სამფაზა ავტომატური ამომრთველით დაცული სახაზო და ერთი ავტომატით დაცული (ფოტორელეთი მართვადი) გარე განათების უჯრედით. ქვესადგურში გათვალისწინებულია მოხმარებული აქტიური ელექტროენერჯის დაბალი ძაბვის (0.4კვ) მხარეზე აღრიცხვა. ძალოვანი ტრანსფორმატორის მაღალი ძაბვის მხარე აღჭურვილია გამთიშველი-დნობადი მცველის კომპლექტითა და გადაძაბვებისგან დაცვის მოწყობილობით. აგრეთვე, გადაძაბვებისგან დაცვის მოწყობილობა, გათვალისწინებული დაბალ მხარეზეც. ამასთან ერთად, ქვესადგურს გააჩნია ავტონომიური განათება.

შენიშვნა: აღრიცხვის კვანძის განლაგება დაზუსტდება სს „ენერჯო-პრო“-სგან მიერთებაზე გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე.

დაბალი ძაბვის ქსელი შესრულებულია ორი გამანაწილებელი ფარის სახით. №1 ფარი განთავსებულია ჩამკეტებთან, ხოლო №2 – მონიტორინგის სისტემის შენობაში.

№1 ფარი კვებას ღებულობს კსქ-ის პირველი სახაზო უჯრედიდან, ხოლო №2 ფარი - №1 ფარიდან.

№1 ფართან მიერთებულია ყველა ძალური დანადგარი (1, 2, 3, 4, 5 და 6 ძრავები) და გვირაბის განათება. სქემის ასეთი კონფიგურაცია განაპირობა ელექტრომომარაგების სარეზერვო წყაროს (დიზელ-გენერატორის) აუცილებლობამ. დიზელ-გენერატორის სიმძლავრე 15კვტ , რაც განაპირობებს ყველაზე მძლავრი ძრავის (ჩამკეტი $D=800$ მმ 7.5კვტ) გაშვებას. გენერატორთან მიერთებულია 1 ფარი, რაც უზრუნველყოფს ყველა ძალური დანადგარის კვებას და გვირაბის განათებას (იგულისხმება, რომ მონიტორინგის სამსახურს აქვს თავისი უწყვეტი კვების წყარო). ქსელიდან კვების შეწყვეტის შემთხვევაში

გენერატორზე გადასვლა ხდება ავტომატურად რაჩ-ის (რეზერვის ავტომატური ჩამრთველი) საშუალებით.

კსქ-ის მეორე სახაზო უჯრედი გათვალისწინებულია მხოლოდ შორეული შენობის ელექტრომომარაგებისთვის. ქვესადგურთან გათვალისწინებულია დამიწების კონტურის მოწყობა, რომლის წინააღმდეგობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ომს.

შენობების განათება ხორციელდება ლუმინისცენტური ნათურებით. ნათურების, როზეტების და ჩამრთველების რაოდენობა ნაჩვენებია სპეციფიკაციაში. მონიტორინგის შენობაში განლაგებულია №12 ფარი, სადაც მიყვანილია სამფაზა კვება.

ელექტროამძრავის ავტომატური მართვის სქემები

მექანიზმების ელექტროამძრავების ავტომატური მართვის სქემები შედგენილია მათი ტექნოლოგიური მოთხოვნების მიხედვით. კერძოდ, ურდულებისა და საკეტების ძრავებისთვის გათვალისწინებულია ბლოკირება, რომელიც გამოირიცხავს ერთდროულად ორი ურდულის ან ორი საკეტის გახსნას. ძრავების მართვის დილაკები განთავსებულია მექანიზმებთან.

ელექტრომოწყობილობის სპეციფიკაცია

ელექტროტექნიკური მასალები				
№	დასახელება	ტიპი	რაოდენობა	აღნიშვნა ნახაზზე
1	გარე განათების სანათი	სანათი 125 ვტ	23 ც	G1...G23
2	გვირაბის განათება	1×36 ვტ I 54 (220ვ)	23 ც	O1...O23
3	სანათი	(4×18) ლუმინესცენტური ნათურებით	17ც(+12ც შენობა II)	A1...A17
4	სანათი	(1x40) I 54	2 ც	E1...E2
5	როზეტები	ერთიან ჩარჩოში	10ც(+9ც შენობა II)	R1...R10
6	ჩამრთველი	ერთკლავიშა	9 ც	S1...S3
7	ჩამრთველი	ორკლავიშა	2 ც	S4
8	ჩამრთველი	ერთკლავიშა გარე მონტაჟის I 54	3 ც	*
9	კაბელი	AC-35	(3x480)=1440მ	L1
10	კაბელი	0.4 კვ სპილენძის #2XY-J 4×16 მმ ²	60 მ	L2
11	კაბელი	0.4 კვ ალუმინის A 2×16 მმ ²	995 მ	L3

ელექტროტექნიკური მასალები				
№	დასახელება	ტიპი	რაოდენობა	აღნიშვნა ნახაზზე
12	კაბელი	0.4 კვ ალუმინის A 4x16 მმ ²	460 მ	L4
13	კაბელი	0.4 კვ სპილენძის N N2XY-J 4x10mm	366 მ	*
14	კაბელი	0.4 კვ სპილენძის NN2XY-J 3x2.5მმ ²	230ც(+235მ შენობა II)	L5, L6
15	კაბელი	0.4 კვ სპილენძის N N2XY-J 2x4mm	160 მ	L9
16	გოფრირებული მილი	d=25 mm	300 მ	*
17	გამანაწილებელი კოლოფი	IP 55, 13x13	23 ც	*
18	ქვესადგური (KTH)	МТП-40/10(6)/0.4	1 ც	*
19	ქვესადგურის საყრდენი	CB 105	1 ც	*
20	10(6) კვ საყრდენი	CB 105	2 ც	*
21	0.4კვ საყრდენი	CB95-2	6 ც	*
22	მანჭვალა იზოლატორები		80 ც	*
23	ბრჯენი (კრონშტეინი)		20 ც	*
24	დიზელ-გენერატორი		1 ც	*
25	დამიწების შტანგა (ჯვარისებრი)		4 ც	*
26	დამიწების საღებე 30x3		30 მ	*
DB1				
ძრავების მართვის სქემის კომპლექტაცია				
1	ავტომატური ამომრთველი	MPCB (შესაბამისი ნომინალის)	1 ც	Q
2	კონტაქტორი	ბლოკ-კონტრაქტებით (3NO+3NC) 25ა ძრავებისთვის	2 ც	KO, KC
3	"STOP" დილაკი	1NC კონტრაქტით	1 ც	S
4	მართვის დილაკი	1NO+1NC კონტრაქტებით	2 ც	O, C
5	ბოლო გამთიშველი	1NO+1NC კონტრაქტებით	2 ც	QO, QC
6	სასიგნალო ნათურა	220ვ (2მწვანე+2წითელი)	4 ც	EL

ელექტროტექნიკური მასალები				
№	დასახელება	ტიპი	რაოდენობა	აღნიშვნა ნახაზზე
7	ძალოვანი ნაწილი			
8	ავტომატური ამომრთველი	MPCB 63A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1
9	ავტომატური ამომრთველი	MPCB 10A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,1
10	ავტომატური ამომრთველი	MPCB 6,3A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,2
11	ავტომატური ამომრთველი	MPCB 6,3A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,3
12	ავტომატური ამომრთველი	MPCB 18A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,4
13	ავტომატური ამომრთველი	MPCB 10A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,5
14	ავტომატური ამომრთველი	MPCB 14A 3P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,6
15	ავტომატური ამომრთველი	MCB 10A 1P (ძრავის დაცვის)	1 ც	Q1,7
16	ძალოვანი ფარი	ლითონის კარადა IP55	1 ც	DB1
DB2				
1	ავტომატური ამომრთველი	MCB 40A 3P	1 ც	Q2
2	ავტომატური ამომრთველი	MCB 20A 3P	1 ც	Q2,1
3	ავტომატური ამომრთველი	MCB 16A 1P	2 ც	Q2,2
4	ავტომატური ამომრთველი	MCB 10A 1P	1 ც	Q2,3
5	გამანაწილებელი ფარი	8M (მოდილი)	1 ც	DB2
DB3				
1	ავტომატური ამომრთველი	MCB 25A 3P	1 ც	Q3
2	ავტომატური ამომრთველი	MCB 10A 1P	1 ც	Q3,1 Q3,3
3	ავტომატური ამომრთველი	MCB 16A 1P	1 ც	Q3,2
4	გამანაწილებელი ფარი	8M (მოდილი)	1 ც	DB3

V. სამუშაოთა მოცულობები

1. კაშხლის გულის დაშენება

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	რაოდ.	შენიშვნა
1	საავტომობილო გზის ხრეშის საფარის მოხსნა ბუღდლოზერით.	მ ³	918	
2	გრუნტის დატვირთვა თვითმცლელელებზე და გატანა ნაყარში	ტ	1745	ზიდვა 3 კმ
3	ტროტუარის ფილების მონგრევა პნევმოჩაქუნებით	მ ³	75	
4	ბეტონის ნანგრევების დატვირთვა თვითმცლელელებზე და გატანა ნაყარში (ზიდვა 3 კმ)	ტ	188	ზიდვა 3 კმ
5	კაშხლის თავზე არსებული ლითონის მოაჯირეების დემონტაჟი.	ტ	52	ზიდვა 1 კმ-დასაწყობებით
6	კაშხლის თხემის მოჭრა 0.65მ ³ ჩამჩის მოც. ექსკავატორით, 892.7 მ. ნიშნულამდე	მ ³	21775	
7	გრუნტის გატანა თვითმცლელელებით ნაყარში	ტ	41372	ზიდვა 3 კმ
8	კაშხლის ზედაპირის მოშანდაკება 892.7 მ. ნიშნულზე	მ ²	7830	
9	კაშხლის თიხის გულის დაშენება თიხით შრეობრივი დატკეპნით	მ ³	4348	$\gamma=1.9$ ტ/მ ³ K=1.2
10	კაშხლის ტანის ამოშენება ხრეშით შრეობრივი დატკეპნით	მ ³	22951	K=1.22
